ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302223033**
თარიღი: **18/08/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამატებით გამოეყო 2050000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს შემდეგ პროექტებზე; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაციაზე 1300000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 68422 ლარი, სულ მიმდინარე წელს პროექტზე მიიმართება 1368422 ლარი; ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის საძირკველის გამაგრებაზე 254000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 400160 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 654160 ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 496000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 239465 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 735465 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაფინანსებულ პროექტებზე ტენდერის შედეგების გათვალისწინებით გზების რეაბილიტაციის (ხიდი აკეთი) დაფინანსება შემცირდეს 3399 ლარით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდეს 2681 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა შემცირდეს 16455 ლარით.

სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაციაზე მიიმართოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 13672 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15058 ლარი, სულ პროექტის

ღირებულებაა 28730 ლარი. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განმარტების გათვალისწინებით ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 2700 ლარით; ხოლო კულტურის ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის 1210 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის სხვა ხარჯების მუხლი 1210 ლარით.

ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მომართვის საფუძველზე გაიზარდოს დაფინანსება 15000 ლარით.

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯების (საწვავ-საპოხი მასალები ფასების ზრდის გათვალისწინებით) დაფინანსება გაიზარდოს 78400 ლარით, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება 35000 ლარით, მერიის დაფინანსება 40000 ლარით, სამხედრო სამსახურის დაფინანსება 3400 ლარით.

გარე განათების ქსელის გაფართოების გათვალისწინებით გაიზარდოს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსება 100000 ლარით.

ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის დონის გათვალისწინებით არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის პროგნოზი შემცირდეს 36395 ლარით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლის 36395 ლარით შემცირება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართული თანხები და მიმდინარე ხარჯების ზრდის დაბალანსება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების 770600 ლარით და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლების 185000 ლარით ზრდის ხარჯზე.

აღნიშნული ღონისძიებების ასახვა განხორციელდეს ბიუჯეტის, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი